

პრეზიდენტ მარგველაშვილის ვიზიტი ქალაქ ურეკის სარეაბილიტაციო ცენტრში

16 ივლისს პრეზიდენტი მარგველაშვილი ეწვია ქალაქ ურეკის სარეაბილიტაციო ცენტრს. აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელმა და ექიმებმა პრეზიდენტს მოახსენეს ცენტრის ამჟამინდელი მდგომარეობისა და იაპონიასთან თანამშრომლობის შესახებ. მათ, აგრეთვე, უპასუხეს პრეზიდენტის მიერ დასმულ შეკითხვებს და ხაზი გაუსვეს ურეკის ბუნებრივი მაგნიტური ქვიშით სარგებლიანობას სამედიცინო დანიშნულების თვალსაზრისით.

პრეზიდენტმა წარმოთქვა შემდეგი სიტყვა:

"ჩვენ ჩამოვედით ურეკის სარეაბილიტაციო ცენტრში, რომელიც იაპონიის დახმარების საფუძველზე აშენდა. იაპონიის მთავრობა უაღრესად აქტიურია ამ მიმართულებით. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო იაპონიის ელჩს საქართველოში, ბატონ კაიტანის იმ საქმიანობისთვის, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების თვალსაზრისით საელჩო ეწევა აქ, ურეკში და ოზურგეთში. საქართველოში ყველამ კარგად ვიცით, რომ ურეკს აქვს უნიკალური პოტენციალი და ამ პოტენციალს სჭირდება ინფრასტრუქტურული განვითარება, რაც, თავის მხრივ, განავითარებს როგორც სარეაბილიტაციო სისტემას, ისე ქვეყნის ეკონომიკას. დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს იაპონელ მეგობრებს და მივესალმებით ბავშვებს, რომლებიც ამ მშვენიერ ადგილზე იმყოფებიან"



პრეზიდენტი მარგველაშვილი (ცენტრში), პირველი ლედი (მარცხნივ), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელი (მარჯვნივ), ელჩი კაიტანი (მარცხნიდან მეორე)

იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების
პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული პროექტი -
„ურეკის სარეაბილიტაციო ცენტრი“

25 სექტემბერს, 12:00 საათზე, დაბა ურეკში შედგა იაპონიის მთავრობის მიერ „ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული „ურეკის სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობის პროექტის“ საზეიმო გახსნის ცერემონია.

ზემოხსენებულ საგრანტო პროექტს ხელი 2011 წლის 8 ნოემბერს მოეწერა იაპონიის საელჩოსა და „გურიის ინვალიდთა რეგიონალური ასოციაციის“ მიერ. პროექტის მიზანია შეზღუდული უნარების მქონე პირთათვის სოციალური სერვისების გაუმჯობესება, ურეკის სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობის გზით. აღნიშნული პროექტის ბიუჯეტი 108,411 ა.შ.შ. დოლარს შეადგენს.

„გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების საგრანტო პროგრამა“ (GPP) დახმარებას უწევს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ შედარებით მცირე ზომის პროექტებს, რომელთა პირდაპირი მიზანია საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. პროექტები შესაძლებელია განხორციელდეს ჯანდაცვის, განათლების, სოციალური, გარემოს დაცვის და სიღარიბის დაძლევის სფეროებში. GPP-ის ფარგლებში, 1998 წლიდან, საქართველოში იაპონიის მთავრობის მიერ უკვე დააფინანსდა 139 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულებამ **12, 887, 599 ა.შ.შ. დოლარი** შეადგინა, ხოლო იაპონიის „ოფიციალური განვითარების თანადგომამ“ საქართველოსთვის კი ჯამში **364, 000, 000 ა.შ.შ. დოლარს** გადააჭარბა, რაც მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობა და სოციალური დაცვის სექტორი, კულტურა და ადამიანური რესურსების განვითარება და ა.შ.

<რეკონსტრუქციამდე>



<რეკონსტრუქციის შემდეგ>

